დიდი სტალინი — პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 8 (396) პარასკევი, 24 თებერვალი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1950 წ. 23 თებერვალი № 21 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოცდამეთორმეტე წლისთავს.

კომუნისტური პარტიის, მისი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სასტიკ ბრძოლებში დაამტკიცეს, რომ ისინი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების საიმედო გუშაგნი არიან.

ვულოცავ ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოცდამეთორმეტე წლისთავს.

ვუსურვებ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელ მეთაურთა და რიგითს შემადგენლობას ახალ წარმატებებს თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემდგომ სრულყოფაში.

სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს—ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას ცნობა იმის შესახებ, რომ ამხანაგი ი. ბ. სტალინი და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები დათანხმდნენ კენჭი იყარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე სათანადო ოლქებში.

მოსკოვში, თბილისში, მინსკში, ერევანში, ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში, სადაც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები დათანხმდნენ კენჭი იყარონ, გაიმართა ამომრჩეველთა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები, რომლებიც გადაიქცა ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი, დეპუტატობის პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატს—ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მთელი ხალხის სიყვარულისა და ერთგულების გრანდიოზულ დემონსტრაციად.

მშრომელთა 150-ათასიანი მიტინგი გაიმართა 18 თებერვალს ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში, სადაც ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს.

იმავე დღეს მოსკოვის სტალინისა და ბაუმანის რაიონების საწარმოთა და დაწესებულებათა თანდასწრებით შედგა სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციაში გატარებულ იქნას საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში.

* * *

სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებზე ერთსულოვნად გატარებული იქნენ რეგისტრაციაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **ვ. მ. მოლოტოვი** ქ. მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქში; **გ. მ. მალენკოვი** — ქ. მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში; **ლ. პ. ბერია** — ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში; **კ. ე. ვოროშილოვი** — ქ. მინსკის საქალაქო საარჩევნო ოლქში; **ა. ი. მიკოიანი** — ქ. ერევნის სტალინის საარჩევნო ოლქში; **ლ. მ. კაგანოვიჩი** — ქ. ტაშკენტის ლენინის საარჩევნო ოლქში; **ნ. ს. ხრუშჩოვი** — ქ. მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქში, **ა. ა. ანდრეევი** — ქ. აშხაბადის საარჩევნო ოლქში, **ნ. ა. ბულგანინი** — ქ. მოსკოვის მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში, **ნ. ვ. შვერნიკი** — სვერდლოვსკის საარჩევნო ოლქში, **ა. ნ. კოსიგინი**—ივანოვოს საარჩევნო ოლქში.

* * *

საარჩევნო კომისიების სხდომებზე ერთსულოვნად გატარებულ იქნენ რეგისტრაციაში: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი — ქ. თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი — თელავის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბ. გოგუა — ბათუმის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ი. ბარამია —ფოთის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ე. თოფურიძე — სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ს. შადური — ბათუმის ზღვისპირის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილი — ხაშურის საარჩევნო ოლქში.

საოლქო საარჩევნო კომისიები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში ატარებენ საბჭოთა ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

★

სტალინი

სტალინი გაზაფხულია,
სამშობლოს დილა ნათელი,
მის სახელს, მის მზეს, მის აკვანს
იფიცებს ყველა ქართველი.
და განა მარტო ქართველი,
ან რუსი სახელგანთქმული?
მის სიყვარულში მსოფლიოს
სიყვარულია ჩართული.
ის განახლების ჰიმნია
გულიდან გულზე მოვლილი;
მამაა ჩვენზე — შვილებზე
ფიქრით თმაჩამოთოვლილი.
სინათლე კაცად უხმობენ,
სიმართლე კაციც ის არის,
დროშაზე დაუწერია
ხალხთა დიადი მიზანი.
მისი სახელის დიდებას
ლულუნებს მწყემსის ფანდურიც;
მან მოკვცა ხმაც და სიცოცხლეც
და გულიც ახალგაზრდული.
დე, ჩვენი ხმა და გუგუნი
კრემლის ვრცელ თაღებს გადასწვდეს,
დე, ფრთაგაშლილმა ტაშებმა
ჩვენი სურვილი გადასცეს:
იცოცხლოს, ვიდრე მიწაზე
დაჰკრის ნიავი ფრთამალი,
იცოცხლოს, ვიდრე უხდება
ცას ცისარტყელის ქამარი...
მზემ ნათელ კომუნიზმისამ,
მშვიდობის სიტყვამ მართალმა,
ხალხის პირველმა რჩეულმა —
გამარჯვებათა სარდალმა!

იოსებ ნონეშვილი

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე რეგისტრირებულია კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ზემოთ ჩაიარა სტალინის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ, მიძღვნილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციისადმი.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ გ. მ. ცვეტკოვმა, რომელმაც თქვა:

— ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გაუწყოთ სასიხარულო ამბავი: საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის მთელი ხალხის კანდიდატმა საბჭოთა ხალხის ბელადმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში.

კომისიის წევრები ამ ცნობას მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

კომისიის თავმჯდომარემ შემდეგ განაცხადა, რომ სხდომას ესწრებიან იმ საწარმოთა წარმომადგენლები, რომელთა კოლექტივებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ელექტროქარხნის მუშების, მოსამსახურეების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების სახელით სიტყვა წარმოთქვა ამხ. ალექსეევმა, რომელმაც თქვა:

— ჩვენ დიდი სიამაყით შევიტყეთ, რომ ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში — იმპერიალიზმის დაღუპვისა და კომუნიზმის სტალინური იდეების გამარჯვების ეპოქაში.

ელექტროქარხნელთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით ამხ. ალექსეევი სთხოვს საოლქო საარჩევნო კომისიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დიდი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულითა და ერთგულებით გამსჭვალული გრძნობები და ფიქრები გამოხატა თავის სიტყვაში ლენინის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის წარმომადგენელმა ამხ. ივანოვმა.

— სტალინის სახელი ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, — ამბობს შჩერბაკოვის სახელობის კომბინატის წარმომადგენელი ამხ. კოზლოვი. — მასთან დაკავშირებულია მთელი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს დიდება.

საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პუჩკოვმა, მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის სახელით — ამხ. გლოვაცკმ, ივანოვის სახელობის კვების კომბინატის კოლექტივის სახელით — ამხ. პოპოვამ.

კომისიის წევრები ყურადღებით ეცნობიან წარმოდგენილ დოკუმენტებს. შემდეგ კომისიის თავმჯდომარეს ამხ. გ. მ. ცვეტკოვს შეაქვს წინადადება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

კომისიის წევრებმა და სტუმრებმა ხანგრძლივი მქუხარე ტაშით დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას.

შემდეგ კომისიის ყველა წევრმა რიგრიგობით მოაწერა ხელი რეგისტრაციის ოქმს.

დადგენილება

კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიისა

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული ოქმები კავშირის საბჭოს არჩევნების სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელების შესახებ და განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დამსახელებელი ორგანიზაციებისაგან, საოლქო საარჩევნო კომისიამ, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, გამოარკვია, რომ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 57, 58, 59, 60, 61 და 62 მუხლების სრული შესაბამისობით.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 63-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გატარებულ იქნას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დასახელებული მოსკოვის ელექტროქარხნის, მოსკოვის ლენინის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის, მოსკოვის მიკოიანის სახელობის ლენინის ორდენოსანი კვების კომბინატის, შჩერბაკოვის სახელობის კომბინატის, მოსკოვის საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის, სახელმწიფო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებების მიერ.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 65-ე მუხლის საფუძველზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატად საარჩევნო ბიულეტენში კავშირის საბჭოს არჩევნების სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 64-ე მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გ. მ. ცვეტკოვი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. სავერინი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: პ. ტ. ალიოშინა, ბ. ბ. გაშანოვი, ნ. მ. ეგოროვა, დ. ტ. ელიზაროვა, ნ. ფ. იგნატოვი, ა. ნ. ნიკიფოროვი, ბ. დ. სუვოროვი, ა. ტ. ტუმანოვი

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი მ. ი. ნიკოლსკი

ხალხის ერთსულოვანი დარაზმულობის მკაფიო დემონსტრაცია

კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგი

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ ამხანაგ სტალინის და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა თანხმობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარონ სათანადო ოლქებში.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქის მშრომელთა გული დიდი სიხარულით აღივსო. დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დათანხმდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

18 თებერვალს სამუშაოს დამთავრების შემდეგ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები კოლონებად დარაზმულნი შეეკრიბნენ ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ლ. პ. ბერიას თანხმობას კენჭი იყაროს თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

ამომრჩეველთა 30 ათასიანი მიტინგი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა.

პირველი სიტყვა ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს, რომელსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს იმ უდიდეს მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებზე, რომლებსაც ქართველმა ხალხმა, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხებთან ერთად, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით მიაღწიეს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების აყვავების საქმეში.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს იმ დიდ ღვაწლზე, რაც მოუძღვის ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას საქართველოს მოწინავე აყვავებულ რესპუბლიკად გადაქცევის საქმეში და მოუწოდებს ამომრჩევლებს ერთსულოვნად ხმა მისცენ დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი ამხ. ტ. დავითაშვილი, ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ინჟინერი ამხ. რუსუდან ნიკოლაიშვილი, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. ი. ჭუმბურიძე, პოდპოლკოვნიკი ამხ. ლ. სიროტკინი.

ყველა ისინი ლაპარაკობდნენ ამხანაგ ლ. პ. ბერიას უდიდეს დამსახურებაზე ჩვენი ქვეყნის ხალხის წინაშე და მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს 12 მარტს ხმა მისცენ ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, ამით ერთხელ კიდევ ცხადყონ თავიანთი უსაზღვრო თავდადება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ხალხთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მიმართვის ტექსტი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მიტინგის მონაწილეებმა მიმართვა გაუგზავნეს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

• • •

ამავე დღეს საღამოს საზეიმო ვითარებაში შედგა თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომას ხსნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. სტურუა.

— დღეს ჩვენთან,—ამბობს იგი,— დიდი ზეიმია. ჩვენ მივიღეთ ჩვენი საყვარელი ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას თანხმობა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

ამ ამბავმა ფეთქავს ყველა ადამიანის გულში. ეს ამბავი ადასტურებს ჩვენ ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ეს ამბავი ადასტურებს ჩვენ ერთგულებას ჩვენი ბელადისადმი, ეს ამბავი ადასტურებს ჩვენ ერთგულებას ჩვენი ბელადის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ერთგულ მეგობრებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონის დაფნის ტვირთვები

შენიშვნები მსოფლიოს პირველობაზე

მოსკოვი. (ჩვენი კორ.).—დობეე! ძალიან კარგია! ყინულიდ თვითონ მიგაქროლებს, — თქვა ვარჯიშის შემდეგ პოლონეთის ჩემპიონმა იადვიგა გლაზევსკამ.

აპრილის ხელოვნური საციგურო მოედნიდან მოსკოვის სტადიონის ყინულზე გადმოტანა თავისი უკანასკნელი ვარჯიში ორმა ჩეხმა სპორტსმენმა მარსელა ვავროვამ და ლიბუშე განცლოვამ. შეჯიბრების წინა საღამოს „დინამოს“ სტადიონზე საწვრთნელ ვარჯიშს ეწეოდნენ ნორვეგიის ოთხგზის ჩემპიონი რანდი ტურვალდსენი და ფინელი სპორტსმენები — თავისი ქვეყნის ჩემპიონი ეეკი ხუტუნენი და მარგიტ ლაკსო.

... ფანფარების ხმამ ამცნო შეჯიბრების დაწყება. ყინულზე გამოწკრიალდა 19 უძლიერესი მოციგურე — მსოფლიო ჩემპიონის წოდების პრეტენდენტი.

200 პროექტორმა გაანათა ყინულის ბილიკი და ჩვენი ქვეყნის მთავარი სტადიონის ტრიბუნები. საათის ისარი მიუახლოვდა საღამოს 6 საათს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმი აიმართა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მარიამ ისაკოვამ. მოედნის ცენტრში ჩემპიონატის მონაწილეთა ქვეყნების დროშები აფრიალდა. ორმოცი ათასი მოსკოველი მეუხარე ტაშით მიესალმება შეჯიბრების მონაწილეებს.

საციგურო სპორტის მოყვარულნი არ ჰგავან მოსკოვის „დინამოს“ ბუდეზე სტუმრებს ფეიბურთის მატჩების დროს. ფანჭრებითა და ბლოკნოტებით შეიარაღებული ზამთრის სპორტის გულშემატკივარნი შეჯიბრების მთელ პერიოდში გართული არიან რთულ გამოანგარიშებათა პროცესებით.

... მსაჯთა ლოჟასთან აინთო მწვანე შუქნიშანი. დისტანცია გახსნილია!

500 მეტრზე მიეცა რბენის სტარტი. პირველ წყვილში არიან პოლონელი სპორტსმენები ი. გლაზევსკა და ვ. სეძმირი-კრაკოვა. მოსკოველები მიესალმებიან მეგობრული ქვეყნის წარმომადგენლებს.

... სტარტზეა ნორვეგიის ჩემპიონი ო. ტურვალდსენი და სვერდლოვსკელი ტ. კარელინა. სწრაფია და ლამაზი ნორვეგიელის რბენა მოსახვევებში. ჩქარ ტემპებს იგი ინარჩუნებს ბოლომდე და ფინიშთან პირველი მიდის. მისი შედეგია 50.4 წამი. ზედიზედ გამოდის ბილიკზე კიდევ სამი წყვილი, მაგრამ ნორვეგიის ჩემპიონის მიღწევას ჯერჯერობით ვერავინ ჯობნა.

რბენას იწყებს მ. ისაკოვა, მის გვერდით დგას ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ნ. ავდონინა.

ისაკოვა ხსნის საბჭოთა სპორტსმენი ქალების გამარჯვებათა ანგარიშს მსოფლიოს VIII ჩემპიონატში. მისი შედეგია 49.9. ტურვალდსენის დრო უკან ჩამოტოვებულია.

3.000 მეტრზე რბენით იხსნება მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის მეორე ფურცელი. ამ მანძილზე საუკეთესო შედეგები უჩვენა ხუთმა საბჭოთა სპორტსმენმა. ისაკოვამ 8 წამით გაუსწრო ნორვეგიელ ტურვალდსენს. ისაკოვას შედეგი თითქმის ერთი წამით გაუმჯობესა კარელინამ, მაგრამ ამ მანძილზე გამარჯვება მოიპოვა სვერდლოვსკელმა ო. ეუკოვამ.

მარიამ ისაკოვა

* * *

დამთავრდა ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ამ დროისათვის ლიდერობდა ისაკოვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ეუკოვა. მესამე და მეოთხე ადგილებზე მიდიოდნენ ტურვალდსენი და ლენინგრადელი ს. კონდაკოვა.

კვირას საციგურო სპორტის მოსკოველი მოყვარულნი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე. შეჯიბრებები დაიწყო დღის პირველ საათზე. გულშემატკივართა გეგმებსა და პროგნოზებში სერიოზული შესწორება შეიტანა... ამინდმა. ტემპერატურა აიწია და სითბომ მკვეთრი გავლენა მოახდინა შეჯიბრებების შედეგებზე.

როგორც წინა დღეს, ახლაც სტარტზე პირველი გამოვიდნენ საზღვარგარეთელი სპორტსმენები.

საინტერესო იყო მეექვსე წყვილის — კარელინას და ლაკსოს (ფინეთი) რბენა. კარელინამ უჩვენა საუკეთესო შედეგი — 1:49,2. მან თითქმის ნახევარი წრით გაუსწრო თავის მეტოქეს.

ეუკოვა შეხვდა ტურვალდსენს. საზღვარგარეთელ მოციგურეთა შორის ყველაზე უძლიერესი ნორვეგიელი ჩემპიონი კვლავ ოსტატურად იღებს სტარტს, მაგრამ ეუკოვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. იგი წინ უსწრებს ტურვალდსენს და სამი წამით სჯობნის მას.

დამთავრდა შეჯიბრება სამ მანძილზე. ახლა ლიდერობს ეუკოვა. ისაკოვა მეორე ადგილზე გადადის. მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაზე სერიოზული პრეტენდენტი ხდება აგრეთვე კარელინა. ტურვალდსენი მეოთხე ადგილიდან მეშვიდეზე აღმოჩნდა.

ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. იწყება 5.000 მეტრზე რბენა. გასავლელია თორმეტნახევარი წრე. ამ მანძილზე საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი და ჩემპიონი კარელინა სტარტზე დგება პირველობის ლიდერ ეუკოვასთან ერთად.

მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს ამ წყვილის შეჯიბრება. ვინ იცის, შეძლება ამ ორთა ბრძოლამ გადასწყვიტოს მსოფლიო პირველობის ბედი...

ძნელი და მძიმე გახდა რბენა. ტემპერატურა პლუს 3,5 გრადუსს უდრის. ყინული რბილდება, ციგურები ცუდად სრიალებენ.

კარელინა ვერ უძლებს ბრძოლის პირობებს. იგი დაიღალა. ეუკოვა გაიჭრა წინ და ფინიშთან პირველი მივიდა. ბევრი უკვე ულოცავს მას ჩემპიონატში გამარჯვებას. მილიცა ნაადრევი ხომ არ არის? ჯერ კიდევ წინაა ცამეტი მონაწილის სტარტი. მათ შორის არიან ისაკოვა და კროტოვა.

საღამოვდება. ტემპერატურა ცოტათი დაეცა. საერთაშორისო წესის თანახმად შესვენების დროს ხელახლა ამზადებენ ყინულს.

სტარტზე გამოდიან ისაკოვა და კროტოვა. 70 ათასი მაყურებელი გაინაბა ტრიბუნებზე.

მიეცა სტარტის ნიშანი. და აი მოსახვევში ჩრდილოეთ ტრიბუნისაკენ უკვე მოჰქრის ფეხდაფეხ ორი მეტოქე. მთელი სტადიონი შეჰყურებს ორთა ასპარეზობას, ხოლო მესამეს კი პალტო მოუსხამს და იძულებული იყოს თავისი მეტოქეების ბრძოლის მაყურებელი. ახლა წყდება პირველობის ბედი! ვინ გაიმარჯვებს— კროტოვა თუ ისაკოვა? აი რაა საინტერესო. მაგრამ უფრო საინტერესოა მეორე: შეძლებს თუ არა ისაკოვა გამოსტაცოს ეუკოვას ის ხუთი წამი, რომელიც მათ ჯერჯერობით აშორებთ?

უინულიდ შესამჩნევად გაუმჯობესდა ნათლად ჩანს, რომ რბენის სისწრაფე ახლა არაჩვეულებრივ დიდია. მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ მოჩვენებითია. არა! დიქტორის ხმა ფანტავს ყველა ეჭვს.

— პირველი წრე ისაკოვამ ეუკოვაზე ხუთი წამით უფრო სწრაფად დაფარა!

კიდევ რამდენიმე წრე გაიარეს... სტადიონზე გაისმის სიტყვები: „ათი წამით უფრო ჩქარა!“, „ჩვიდმეტით!“, „ოცდასამი წამით!“, „ოცდაექვსით!“.

ჩამოჰკრა ზარმა! დარჩა უკანასკნელი წრე. კროტოვა მიდის წინ. ისაკოვა ამჯერად აგებს ამ შეხვედრას. მაგრამ კროტოვას გამარჯვება ისაკოვას გამარჯვებაცაა!

ალის უდიდესი დაჭიმვით მსოფლიოს ჩემპიონმა ბრძოლით ხელთ იგდო მისთვის საჭირო ხუთი წამი და მოიპოვა სასატიო წოდება.

იგრიალა ტაშმა.

საბჭოების ქვეყნის წარმომადგენლებმა მსოფლიოს ჩემპიონატში დაიკავეს პირველი რვა ადგილი და ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს ჩვენი სპორტული სკოლის უპირატესობა.

მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა კროტოვამ, მესამე — ეუკოვამ. შემდეგ მიდიან ანტონოვა, ანიკანოვა, კარელინა, ვალოვოვა, აკიფიევა.

მოციგურეთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ბ-ნმა კლარკმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს მ. ისაკოვას გადასცა ოქროს მედალი და დაფნის გვირგვინი. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. მელნიკოვმა ცალკეულ მანძილებზე გამარჯვებულთ გადასცა საკავშირო საციგურო სექციის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

სტადიონზე გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნის სახეიმო ხმები. მსოფლიოს ჩემპიონმა ისაკოვამ მჭუხარე ოვაციებით შემოხაზა სპატიო წრე.

ნ. ტარასოვი



სურათზე: რ. ეუკოვა (მარცხნივ) და რ. ტურვალდსენი „დინამოს“ სტადიონის „ყინულოვან ბილიკზე“ შეჯიბრების ერთ-ერთ მომენტში.

ფოტო ნ. ვოლკოვისა

ჩვენი რეკორდები—არჩევნებს

ამას წინათ დნეპროპეტროვსკში გამართულ სპორტულ სალამოზე, რომელიც მიძღვნილი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი, ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მსუბუქი წონის ძალოსანმა სპორტის ოსტატმა ვ. პივენმა. ორი ხელით მან აწია შტანგა, რომელიც იწონიდა 111, 450 კილოგრამს, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

მოსკოვში დინამოელთა შეჯიბრებაზე ორი საკავშირო რეკორდი ქალთათვის ცურვაში დაამყარა ახალგაზრდა სპორტსმენმა მ. გავრიშმა. მისი შედეგებია—100 მეტრზე ბატერფლაის სტილით — 1:23,1, ხოლო ბრასის სტილით ამავე დისტანციაზე — 1:24.8.

თავიანთი რეკორდები ვ. პივენმა და მ. გავრიშმა არჩევნებს მიუძღვნეს.

მძლეოსნის წვრთნა ზამთარში

მწვრთნელის რჩევა-დარიგება

საქართველოში კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევენ ზამთარში მეცადინეობა მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც ღია ცის ქვეშ, ბუნების წიაღში გადავიტანოთ. ამ გარემოებას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია. მათ შორის უმთავრესია სუფთა ჰაერის დადებითი ჰიგიენური გავლენა, ორგანიზებული, მეთოდიურად სწორად გაზრდებული წვრთნა ბუნების წიაღში მეტად საინტერესოა და იგი გაჯანმრთელების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. გარდა ამისა, აქ საშუალება იქმნება მძლეოსნური ხასიათის ვარჯიშების ჩატარებისა.

ზამთარში მეცადინეობის გარეთ ჩატარება წუნარ ამინდშია მიზანშეწონილი. ჯგუფი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თბილი სპორტული ტანსაცმლით.

მწვრთნელმ და მოვარჯიშეს უნდა ახსოვდეთ, რომ ტექნიკის შესწავლა და სრულქმნა ნაჩქარევი მსჯელობის ნასიათს არ უნდა ატარებდეს. ზამთარში გარეთ მეცადინეობა ადრე დამდგარ ძირითად პერიოდს არ წარმოადგენს და იგი საზამთრო წვრთნის ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს.

წვრთნის დაგეგმვა ზამთრის პერიოდში სხვადასხვანაირად შეიძლება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მომზადების ჯგუფთან და რა პირობებში მოგვიხდება მუშაობა. ქვემოთ მოყვანილია წვრთნის დაგეგმვის ორი სამაგალითო სქემა. პირველი მათგანი კვირაში სამ მეცადინეობას ითვალისწინებს. აქ საჭიროა მორიგ მეცადინეობათა შორის კვირის განმავლობაში დროის თანატოლად განაწილება. სასურველია, რომ კვირა მეოთხე საწვრთნელ დღედ იყოს გამოყენებული.

ზამთრის წვრთნის კვირეული სქემატური გეგმა

№	წვრთნის შინაარსი	კვირის დღეები 1	2	3	4	5	6	7
1	ბაკვეთილის ჩამზადი ნაწილი							
2	ვარჯიში მოქნილობაზე							
3	ტექნიკის შესწავლა, სრულქმნა და სპეც ვარჯიში სიმარჯვეზე							
4	ვარჯიში სისწრაფეზე							
5	ვარჯიში ძალაზე							
6	ვარჯიში ბამძლეობაზე							
7	ბაკვეთილის დამამშვიდებელი ნაწილი							
8	დილის დაჭურა მოქნილობაზე ვარჯიშის აუცილებელი ჩართვით							

ამ სქემის მიხედვით ყოველი მეცადინეობის გეგმა ზეციდან ქვევით იკითხება. საერთო დატვირთვა საწვრთნელი დღეების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: I მეცადინეობა (სამშაბათი) — საშუალო დატვირთვა, II მეცადინეობა (ხუთშაბათი) — დიდი დატვირთვა, III მეცადინეობა (შაბათი) — მცირე დატვირთვა, IV მეცადინეობა (კვირა)— საშუალო დატვირთვა. თვითეული მეცადინეობა 90-120 წუთს უნდა გრძელდებოდეს.

ზემომოყვანილი სქემატური გეგმა კვირიდან კვირამდე ძალაში რჩება. წვრთნის საშუალებანი კი იცვლებიან და მათი დოზირებაც საერთო დატვირთვის შესაბამისად თანდათან მატულობს. თებერვლიდან დაწყებული სქემა უნდა შეიცვალოს, კერძოთ, არჩეული სახის ტექნიკის შესწავლა და სრულქმნა უკვე ყოველ მეცადინეობაში უნდა ჩაირთვას.

სქემა ძირითადად განკუთვნილია დამწყები მძლეოსნებისათვის. ცხადია, იგი დოგმას არ წარმოადგენს და ჯანსაღი მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება გარკვეულად გარდაიქმნას.

მაღალი თანრიგების მძლეოსანთა წვრთნის დაგეგმვა ითვალისწინებს მოვარჯიშეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარს, ემყარება შვიდ და სამდღიან საწვრთნელ ციკლებს.

მოგვყავს შვიდ და სამდღიანი საწვრთნელი ციკლების სქემატური გეგმა.

№	წვრთნის შინაარსი	7 დღიანი ციკლი 1	2	3	4	5	6	7	3 დღიანი ციკლი 1	2	3
1	ბაკვეთილის ჩამზადი ნაწილი										
2	ვარჯიში მოქნილობაზე.										
3	ტექნიკის შესწავლა და სრულქმნა										
4	ვარჯიში სისწრაფეზე										
5	ვარჯიში ძალაზე										
6	ვარჯიში ბამძლეობაზე										
7	ბაკვეთილის დამამშვიდებელი ნაწილი (ნაკლი რბენა და სიმოლი)										

ზამთრის პირველ ნახევარში წვრთნა შვიდდღიანი ციკლის მიხედვით უნდა სწარმოებდეს, მეორე ნახევარში კი — სამდღიანით.

ა. ძარცივაძე

დასასრული. იხ. გაზ. „ლელო“ № 6

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტში

საერთაშორისო შეჯიბრებებში საბჭოთა სპორტსმენების მაღალ მიღწევათა სტიმულირების მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა დაადგინა რომ საბჭოთა სპორტსმენების მიერ საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით ჩატარებულ შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგები, რომლებიც აჭარბებენ საკავშირო რეკორდებს, რეგისტრირებული იქნება როგორც სსრ კავშირის რეკორდები.

სათანრიგო მოთხოვნები მხატვრულ ტანვარჯიშში



მხატვრული ტანვარჯიში ქალებს შორის ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. 1949 წელს კიევში ჩატარებულ სსრ კავშირის უკანასკნელმა პირველობამ გვიჩვენა, რომ ტანვარჯიშს ეს დარგი წარმატებით ვითარდება, როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახე.

ამასთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებულია სათანრიგო მოთხოვნანი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომლებიც ძალაში შევა 1950 წლის პირველი აპრილიდან. ეს მოთხოვნები შემდეგია:

სპორტის ოსტატი. მოაგროვოს ოფიციალურ შეჯიბრებებში შესაძლებელ ქულათა 85 პროცენტი საგალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებაში, ნებისმიერი ვარჯიშების 20 ქულამდე სიძნელის დროს (ნებისმიერი ვარჯიშების ილეთებისა და ნაერთების შეფასების ცხრილის მიხედვით).

პირველი თანრიგი. მოაგროვოს ოფიციალურ შეჯიბრებებში შესაძლებელ ქულათა 75 პროცენტი საგალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებაში ნებისმიერი ვარჯიშების 15 ქულამდე სიძნელის დროს (ნებისმიერი ვარჯიშების ილეთებისა და ნაერთების შეფასების ცხრილის მიხედვით).

მეორე, მესამე და ჭაბუკთა თანრიგები. მოაგროვოს ოფიციალურ შეჯიბრებებში 75 პროცენტი შესაძლებელ ქულათა ჯამისა ტანვარჯიშული ექვსჭიდის შესაბამისი თანრიგების პროგრამის საგალდებულო ვარჯიშების შესრულებაში.

თანრიგების შენარჩუნებისათვის. იგივე მოთხოვნები.

საკავშირო კომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილებას ტანვარჯიშს საკავშირო სექციასთან ერთად წინადადება მიეცა შეადგინონ საკლასიფიკაციო პროგრამა მხატვრულ ტანვარჯიშში 1950_51 წლისათვის.

სათანრიგო მოთხოვნათა შემოღებამ მხატვრულ ტანვარჯიშში მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს სპორტის ამ საინტერესო სახის შემდგომ განვითარებას.

* * *

სურათზე: თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობა.

ფოტო ლ. დორეულისა

რესპუბლიკის უძლიერესი მეთხილამურეები

საქართველოს XV პირველობა

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს XV პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში. შეჯიბრების უკანასკნელ დღეები მეტად დაძაბული და საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. თვითეული ქულა სწყვეტდა პირველობის საკითხს.

დაიწყო შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. ქალთა შორის 300 მეტრიანი ტრასა ხუკეთესო დროში გაიარა ჯ. ყოროშვილმა — 39,4. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა თ. ტალიანსკაიამ (37,4) და ზ. რიდიონოვამ (40,7). ვაჟთა შორის (500 მეტრიანი ტრასა) გაიმარჯვა ბორჯომის II გუნდის წევრმა ბ. ბანდურმა—50,9. მეორე ადგილზე დარჩა ბაკურიანელი ლ. ხალიზოვი — 51,0, მესამეზე — ზ. კონსტანტინოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 52,5.

ალპიურ ორჭიდში (სლალომი და სწრაფდაშვება) ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ზ. კონსტანტინოვმა, ქალთა შორის — ჯ. ყოროშვილმა (უნივერსიტეტი).

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ჩატარდა მარუსა 30 კილომეტრზე ვაჟთათვის და 10 კილომეტრზე ქალთათვის. ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა გ. კვინიკაძე (ბორჯომის II გუნდი) — 2.35:56,0. ქალთა მარუსაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრებმა თ. ტალიანსკაიამ (55,37) და ლ. ბაიკოვამ (57,36). მესამე ადგილზე დარჩა ვ. კაკიაშვილი (სამედიცინო ინსტიტუტი) — 57,47.

ამრიგად ექვსი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად პირველი ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი ა. ბალაევი-ჩ.), მეორე — ბორჯომის I ნაკრებმა, მესამე — სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა. შემდეგ მოდიან ბორჯომის II, სამედიცინო ინსტიტუტის, სამხრეთ ოსეთის, ახალციხის, ქუთაისის და ახალქალაქის ნაკრები გუნდები.

საქართველოს 1950 წლის ჩემპიონის წოდება მიენიჭათ: ვ. დიაკონაშვილს 5 და 8 კმ. მარუსაში და სამთო ორჭიდში, გ. ჯეირანაშვილს 18 კმ. მარუსაში, ა. ადამიანცს ტრამპლინიდან ხტომებში, ნ. თვაურს სამთო ორჭიდში, ჯ. ყოროშვილს სლალომში, სწრაფდაშვებაში და ალპიურ ორჭიდში, ბ. ბანდურს სწრაფდაშვებაში, პ. კოზანაშვილს სლალომში, ზ. კონსტანტინოვს ალპიურ ორჭიდში, თ. ტალიანსკაიას 10 კმ. მარუსაში და გ. კვინიკაძეს 30 კმ. მარუსაში.

კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით.

ი. მლეგრიშვილი

თბილისი—ერევანი—ბაქო

კალათბურთელთა ტრადიციული მატჩი

ბაქო. (ჩვენი კორ.). აქ გათამაშდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამი დედაქალაქის კალათბურთელთა ტრადიციული მატჩი, რომელმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

გადამწყვეტი შეხვედრების ჩასატარებლად მოედანზე გამოვიდნენ თბილისისა და ბაქოს ქალთა და ვაჟთა გუნდები. მეტად დაძაბული ბრძოლა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, გაიმართა ქალთა შორის. ანგარიშით 31:29 გამარჯვება მოიპოვეს ბაქოელებმა.

მამაკაცთა კოლექტივების მატჩი თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა და მათი გამარჯვებით დამთავრდა — 70:44.

მესამე ადგილი ერევნის სპორტსმენებს დარჩათ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

ახალი დარბაზი გეგუთში

ქუთაისი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქუთაისის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები ახალი მღწევებით ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა დღითიდღე იზრდება.

სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლას“ გამგეობის მიერ სოფლის სპორტსმენებისათვის შეძენილია 15.000 მანეთის ფიზკულტურული ინვენტარი. გეგუთში ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი.

დარბაზში კოლმეურნე ფიზკულტურელები ამომრჩევლებისათვის ატარებენ სპორტულ სალამოებს.

ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით შექმნა 300-მდე საუკეთესო ფიზკულტურელისაგან შემდგარი 28 ბრიგადა, რომლებიც მომსახურებას უწევენ საარჩევნო უბნებს. განსაკუთრებით ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან მეთხილამურეთა, ცხენოსანთა და მთასვლელთა ბრიგადები.

საჭიდაო ხალიჩაზე

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.). ქალაქის ციკის შენობაში ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი საკლასიფიკაციო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში.

საჭიდაო ხალიჩაზე სპორტული თანრიგის მოპოვებას ერთმანეთს 43 ახალგაზრდა ფიზკულტურელი ეცილებოდა.

შეჯიბრების მონაწილეთა უმეტესობამ მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ქვემსუბუქი წონის წარმომადგენელთა რუხაძის („სპარტაკი“) და ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელის ვარშანიძის შეხვედრა. გაიმარჯვა ვარშანიძემ.

ორი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად საკლასიფიკაციო კომისიამ 13 მოჭიდავეს მიანიჭა მესამე თანრიგი, ხოლო ორს — მეორე.

მოციგურეთა შეჯიბრება

ბორჯომი. ამას წინათ ფიზიკურ კულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონულმა კომიტეტმა სერგო ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში მოაწყო ქალაქის სკოლების მოსწავლე მეციგურეთა და მეთხილამურეთა შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ვაჟთა ქართული და რუსული საშუალო სკოლების, მე-7 სახელოსნო სასწავლებლისა და სხვათა წარმომადგენლები.

მეციგურეთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 40 მოსწავლე. 500 მეტრი 1 წუთსა და 55 წამში გაიარბინა ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. შერბელაშვილმა, მას ერთი წამით ჩამორჩა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. კაიხანიდი.

თხილამურებით 5 კილომეტრიან მარუსაში გაიმარჯვა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ცერაძემ. მისი დროა 23 წუთი და 10 წამი.

ო. გელაშვილი

კოლმეურნე მოჭადრაკეთა ჟურნირი

15 თებერვალს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო საქართველოს კოლმეურნე მოჭადრაკეთა I რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ბათუმის, სოხუმის, თელავის, ხაშურის, მცხეთის, ზესტაფონის, საგარეჯოს, მახარაძის და სხვა რაიონების 17 წარმომადგენელი.

უკვე გათამაშებულია 13 ტურ. ტურნირის ლიდერია თელავის რაიონის წარმომადგენელი ო. ელიოზიშვილი, რომელსაც 11 შესაძლებლიდან აქვს 11 ქულა. მეორე ადგილზეა სა. ჩხერელი კოლმეურნე პ. ოვანოვი (თელ. რთმეტიდან — 9½ ქულა და ერთი გადადებული), მესამეზე — მახარაძელი მოჭადრაკე რ. ჭყონია (10 ქულ. 12 შესაძლებლიდან).

ტურნირი გასტანს 27 თებერვლამდე.

* * *

სურათზე: კოლმეურნე მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ტურნირი. წინა პლანზე—გათამაშების ლიდერი ელიოზიშვილი (მარჯვნივ) და კაკიაშვილი.

ფოტო კ. უუფარაძისა

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა კომიტეტმა შეიმუშავა სოფლის მოსახლეობას შორის ფიზკულტურული მუშაობის დანერგვის გეგმა. 1950 წელს პოლონეთის სოფლებში შეიქმნება 1.700-ზე მეტი ახალი სპორტული კოლექტივი და მისი საერთო რიცხვი 5.000 მიაღწევს. ისინი გაერთიანებენ სოფლის 350 ათას ფიზკულტურელსა და სპორტსმენს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწარმოო კოპერაციებში შემავალ ახალგაზრდობას შორის სპორტის განვითარებას. სოფლის სპორტსმენთათვის შემოღებულია საწვრთნო ბილეთები და სპეციალური ნიშნები.

დიდი ყურადღება დაეთმობა აგრეთვე პოლონეთის სოფლებში სპორტის ისეთი სახეების განვითარებას, როგორიცაა ჭიდაობა, ცხენოსნობა, ტურიზმი, წყალჯომარდობა და ციგურები.

1950 წელს სოფლის სპორტსმენები ჩაატარებენ 20 ათასზე მეტ შეჯიბრებას სპორტის სხვადასხვა სახეში. მთელი წლის განმავლობაში პოლონეთის სოფლებში აიგება 290 სტადიონი, 3 ტანვარჯიშის დარბაზი და რამდენიმე საცურაო აუზი.

* * *

უნგრეთში დამთავრდა საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ოსტატთა 16 უძლიერესი გუნდი, მძაფრი ბრძოლებით აღინიშნა.

პირველი წრის შემდეგ გათამაშების ლიდერია უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული არმიის გუნდი „გონვედი“ (ყოფილი „კიშეშეტი“). არმიელებს მოგროვილი აქვთ 24 ქულა 30 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზეა მტკ (22 ქულა), მესამეზე—გასული წლის ჩემპიონი „ფერენცვაროში“ (20 ქულა).

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მაყურებლისათვის ცნობილმა გუნდმა „ვაშაშმა“ მოუგო შეხვედრა ტურნირის ლიდერს (4:2), მაგრამ ბოლო მატჩებში ეგი დამარცხდა „უიპეშტთან“ და მტკ-სთან. ამჟამად „ვაშაში“ ჩემპიონატის ცხრილში მე-7 ადგილს ინარჩუნებს.

პირველობის მეორე წრე დაიწყება მარტში.

* * *

როგორც ცნობილია, უნგრელმა სპორტსმენებმა უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ 1949 წ. მსოფლიო პირველობაზე ფარიკაობაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ პირველობის ორგანიზატორებმა ქაიროში მოიწვიეს ფაშისტი მოფარიკაველები ფრანკისტული ესპანეთიდან. მაშინ პირადგუნდური პირველობა მოიპოვეს იტალიელებმა.

ამას წინათ ბუდაპეშტში ჩატარდა



პოლონეთის ჩემპიონი ქალთა შორის ციგურებით ჩქარობნულ რბენაში იადვიგა გლაზევსკა.

მატჩი ესპადრონში იტალიასა და უნგრეთის გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა უნგრელების ბრწყინვალე გამარჯვებით ანგარიშით 25:11. საზღვარგარეთის სპორტული პრესის აზრით უნგრეთის გუნდმა თავისი ტექნიკით, დინამიურობითა და გამარჯვებისადმი ურყევი ნებისყოფით „გადააჭარბა ყოველივეს, რაც კი აქამდე ნაჩვენები იყო ფარიკაობის ამ დარგში...“

მძლეოსნურ ბილიკებზე

სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში უკვე დაიწყო მძლეოსნობის სეზონი. სამხრეთ აფრიკის პირველობაზე ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა პრაისმა, რომლის შედეგი სიგრძეზე ხტომაში 7,63 მეტრს უდრის.

ახალგაზრდა ზანგმა მძლეოსანმა აღზმარ და-სილვამ სამხრეთ ამერიკის რეკორდი დაამყარა სამმაგ ხტომაში — 15,51 მეტრი. აღსანიშნავია აგრეთვე მეორე ზანგი სპორტსმენის ხ. ჯ. და-სილვას შედეგები 100 მეტრზე რბენაში — 10,4 და სამმაგ ხტომაში — 15,26.

მოკლედ

◎ ქალაქ პარიზში ჩატარდა სპორტსმენ ჟურნალისტთა ტრადიციული ველოგადარბენა 50 კილომეტრზე. გამარჯვება წილად ხვდა დე-ლატურს, რომელმაც მანძილი 1 საათში, 17 წუთსა და 38 წამში დაფარა.

◎ შვეიცის შუბის მტყორცნელმა ბერგლუნდმა გასული წლის სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი მიაღწია — 73,55 მეტრზე ტყორცნა შუბი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკევობით.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.

ტირაჟი 15.000

უე 01595